„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * სექტემბერი. 2018 *(7)44

## გილოცავთ, მვირფასო ასპინძელებო, „პოემიის დღეს – შოთაობას“!

# ასპინძელო, მასპინძელო!

ასპინძელო, მასპინძელო,
ცა ზურმუხტო, ნატვრის თვალო,
შოთას კალმით დახატულო,
თამარ მეფის ნატახტარო.

– ო, იდიდე, იმზეგრძელე,
საქართველოს სათაყვანო,
გმირთა-გმირების სავანევ,
თმოგველების ნატერფალო.

გენიოსთა ცოდნის წყარო,
გმირთა-გმირო ცა მაღალო,
მესხეთის მზევ სხივ ნაყარო,
უფლის მიწაო ზღაპარო.

ო, იდიდე, იმზეგრძელე
საქართველოს სათაყვანო,
გმირთა-გმირების სავანე
თმოგველების ნატერფალო.

ასპინძელო, მასპინძელო,
მესხთა წყარო, დედა მტკვარო,
შოთას კალმით დახატულო,
თამარ მეფის ნატახტარო.

ო, იდიდე, იმზეგრძელე,
საქართველოს სათაყვანო,
გმირთა-გმირების სავანევ
თმოგველების ნატერფალო!

შალვა კეღოშვილი

## ვიდრე ახალი სასწავლო წელი დაწყებოდეს

ახალი სასწავლო წლის დაწყებას თან ახლავს ბევრი სიახლე და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. წელს სკოლებში ამოქმედდება დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა. უახლოეს დღეებში ველოდებით ახალ სახელმძღვანელოებს 1-ლი-მე-6 კლასებისათვის.

2018-2019 სასწავლო წელი ყველა სკოლაში 17 სექტემბერს იწყება. რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 18, მათგან 12 საჯარო სკოლა – საშუალო საფეხურის, 6-საბაზო საფეხურის. ერთი სოფელ დამალის საჯარო სკოლა – არაქართულენოვანია/სომხური/.

დღეის მდგომარეობით სკოლები სრულად არის აღჭურვილი მე-7-მე-12 კლასების სახელმძღვანელოებით, საკლასო ჟურნალებით, თვალსაჩინოებითა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მასალებით, ინვენტარით.

ყველა პირველკლასელისა და მათი დამრიგებლებისათვის მივიღეთ ახალი კომპიუტერები. განსაკუთრებით აღსანიშნავია გასულ წლებში დაწყებული პირველკლასელთა რიცხოვნობის ზრდის სასიხარულო ტენდენციის გაგრძელება.

დასრულდა ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი ნაქალაქევისა და ოშორის საჯარო სკოლებში. დამთავრების პროცესშია ინფრასტრუქტურული სამუშაოები აწყვიტის, ოთის, ორგორის, ტოლოშის, ნიჯგორის, საროს, რუსთავის, ზველის საჯარო სკოლებში.

მალე დასრულდება საწვავი შეშით სკოლების მომარაგებაც.

სასკოლო აქტივობების პროგრამის ფარგლებში გრანტი მოიპოვეს და უკვე დაფინანსდა დაბა ასპინძის, იდუმალის, ნაქალაქევის, ოთის საჯარო სკოლების მიერ წარდგენილი პროექტები.

მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა წარმატებით დაადასტურა საგნობრივი და პროფესიული კომპეტენცია ივლისში ჩატარებული გამოცდების დროს. წელს სკოლებში კიდევ უფრო მეტი უფროსი მასწავლებელი გვეყოლება.

ამჟამად აქტიურ რეჟიმში საქმიანობენ საჯარო სკოლების შეფასების ჯგუფები. სკოლების დირექტორების, ფასილიტატორებისა და მასწავლებლებისათვის ზაფხული დატვირთული იყო ტრენინგებითა და სხვა აქტივობებით, მათ შორის: ლიდერობის აკადემიის, 7-12 კლასების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ინგლისურის და გეოგრაფიის მასწავლებლებისთვის დაგეგმილი და სხვა ტრენინგები, რომელიც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას ემსახურება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებულმა „საზაფხულო სკოლების“ პროგრამამ – „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ – მოსწავლეებს მისცა აქტიური დასვენებისა და გაჯანსაღების საშუალება. როგორც შარშან, ასევე წელსაც, ანაკლიის, სილიბაურის, ქუთაისის და სხვა საზაფხულო ბანაკებში ჩვენი სკოლების ასობით ბავშვმა დაისვენა.

*ტრისტან მურადაშვილი,*
*ასპინძის საგანმანათლებლო*
*რესურსცენტრის უფროსი*

# პატივი მიაგეს

8 აგვისტოს, დაბა ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დაბის მოსახლეობასთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და ომში დაღუპული გმირების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადა ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურმა მამა ზაქარიამ.

პანაშვიდის დასრულების შემდეგ ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წუნდამ“ დაღუპული გმირების ხსოვნის პატივსაცემად საგალობელი შეასრულა. მონაწილეებმა სანთლებით სიმბოლურად საქართველოს რუკა გამოსახეს და ჰაერში ფრანები გაუშვეს.



# მომზადებულები დავხვდით ახალ სემონს

სულ მალე დაიწყება ახალი სააღმზრდელო წელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რისთვისაც ადრიანად დავიწყეთ სამზადისი და უნდა ითქვას, რომ სათანადოდაც მოვემზადეთ. გაზეთის მკითხველებს მინდა შევახსენო, რომ ამჟამად ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაშია 4 საბავშვო ბაღი – ასპინძის N1 და N2, სოფ.ტოლოშისა და რუსთავის საბავშვო ბაღები.

2015-2016 წლებში ასპინძის ორივე საბავშვო ბაღს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი და იქამდე დიდ პრობლემას რომ წარმოადგენდა ზამთრის სეზონისათვის გათბობა, ამჟამად ორივე ბაღი გაზიფიცირებულია. აქვე მისაღებთა კონტიგენტის ზრდის გამო მიმდინარე წლის გაზაფხულზევე დამატებით გაიხსნა თითო ახალი ჯგუფი და დასაქმდა 6 კადრი – 4 აღმზრდელი და 2 აღმზრდელის თანაშემწე, დაემატა ასევე 2 სპეც. აღმზრდელი (ინკლუზიის სპეციალისტი). მთლიანობაში კი აღსაზრდელთა 12 ჯგუფია, მათ შორის – ასპინძის N1 და N2 ბაღში 5-5 ჯგუფი, ხოლო სოფ. ტოლოშსა და რუსთავში – თითო ჯგუფი. თუმცა უახლოეს მომავალში იგეგმება სოფ. ტოლოშის საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი, რის შემდეგაც მოხდება ბაღის გაფართოება და კონტინგენტის გაზრდაც.

მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება ახლომდებარე სოფლებიდან აღსაზრდელთა უფასო ტრანსპორტირება (ოთა, ოშორა, იდუმალა, დამალა, ივერია, გულსუნდა, ხერთვისი, აწყვიტა, ნიჯგორი), რისთვისაც გამოყოფილია 33598,80ლარი.

ასევე მათი მხარდაჭერით ახლახან შეძენილი იქნა 7937 ლარის ავეჯი – 40 ერთეული სამ ადგილიანი საბავშვო საწოლი. უახლოეს დღეებში შესაბამისად ველოდებით საჭირო რაოდენობის ლოგინისა და თეთრეულის მომარაგებას (სულ 180 ერთეული -- 8071,20 ლარის ღირებულებით).

მნიშვნელოვნად ვზრუნავთ რა ბავშვთა აღზრდის თანამედროვე მეთოდების დანერგვას, შესაბამისად იზრდება ამ დაწესებულებებში აღმზრდელ-მასწავლებელთა და სხვა მომსახურე პერსონალთა კვალიფიკაციის ამაღლების დონე, სულ კი ამ საპატიო მისიას ჩვენი 65 თანამშრომელი ასრულებს.

როგორც ცნობილია, 2018 წლიდან ძალაში შევიდა ახალი სტანდარტები:

– ტექნიკური რეგლამენტი – ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ;“

– ტექნიკური რეგლამენტი: – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ.

აღნიშნული სტანდარტების დაცვას ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება მაქსიმალურად უზრუნველყოფს.

უახლოეს მომავალში იგეგმება პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება.

*ელისო ბექაური,*
***სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი***

# ტყე ჩვენი სიმდიდრე და ჯანმრთელობის საწინდარია!

„ტყე შეუნახე შვილებსა! – ბრძანებდა ქართველი კაცი და მისმა მთქმელმა ძალიან კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა იგი, ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე ხომ მშობლიური მიწა-წყალი და ბუნება, უპირველესად – ტყეა, რომელიც ჩვენი არსობის პურია, ურომლისოდაც არც წყალი გვექნება, არც ჯანსაღი ჰაერი და არც ნორმალური ცხოვრების საშუალება.

თუმცა ჩვენი უსაქციელო დამოკიდებულების გამო, თითქმის 30 წელია ვერა და ვერ ვისწავლეთ მასზე ზრუნვა და იგი ბევრისთვის მხოლოდ გამდიდრების საშუალებად იყო ქცეული, არად დაგიდევდათ მისადმი ადამიანურ დამოკიდებულებას და ...

ამ ხნის განმავლობაში, სამწუხაროდ, არ განხორციელებულა ტყის განაშენიანების (განახლების) პროგრამები, თუ არ ჩავთვლით კანტი-კუნტად, თითო-ოროლა მარადმწვანე ხის დარგვას. სამაგიეროდ, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული 100 ათასობით კუბური მეტრი ხე-ტყე გაჩანაგდა, ამას ისიც დაემატა, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მასიურად დაიწყო ფიჭვნარი ტყეების ხმობის პროცესები და თუ ეს ასე გაგრძელდა, ალბათ მოგვიწევს განგაშის ზარების შემოკვრა, რათა გადავარჩინოთ ტყე – ჩვენი დედაბუნება, ჩვენი სიცოცხლის ელექსირი. თუმცა, როგორც ვთქვით, მინდა შევნიშნო ისიც, რომ ვისაც ეს ხელეწიფება, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ტყის სანიტარული ჭრები აუცილებელია, მაგრამ მეტი სიფრთხილე გვმართებს, რათა სანიტარული ჭრებს არ მივაყოლოთ ჯანსაღი ხეებიც.

თუ კარგად დავუკვირდებით, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც სხვა რეგიონებში, აქაც, დაიწყო აღნიშნული კულტურების ხმობის პროცესი, რაც, სპეციალისტების თქმით, იგი ძირითადად გამოწვეულია მავნებელ ქერქიჭამიას გავრცელებით და დღის წესრიგში დადგა მათი გამოხშირვა – სანიტარული ჭრები, რათა მცირედით მაინც თავიდან ავიცილოთ მასიური დაავადებების გავრცელება. ეს სურათი გადაღებულია სოფელ ოთაში, საიდანაც კარგად ჩანს თუ რაოდენ დიდია დაავადებული ხეების რაოდენობა.

სატყეო დეპარტამენტმა უნდა გაითვალისწინოს და მცირედით მაინც შეზღუდოს ტყის მასივებში საღი ხეების ჭრაზე ნებართვების გაცემა ვიდრე, არ უზრუნველყოფს გამხმარი ხეების გამოხშირვას, რისთვისაც, პირველ რიგში, ვიდრე შეშის დამზადების სეზონი მასიურ ხასიათს მიიღებდეს, დანომროს და მოსახლეობას შესთავაზოს სხორედ იმ ხეების ჭრა, რომლებიც მისადგომადაც ადვილია და მოსახლეობაც, ალბათ, კმაყოფილი დაგვრჩება და ტყეც გასუფთავდება დაავადებული ხეებისაგან.

აქვე შევნიშნავთ, რომ ანალოგიური მდგომარეობაა ცენტრალური მაგისტრალური საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიის ტყის ზოლებზეც, სადაც ასევე საჭიროებს იგი სანიტარული ჭრების ჩატარებას.

ამასთან, სატყეო დეპარტამენტმა ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ გამოძებნოს საშუალება და დაიწყოს ხის მავნებლების საწინააღმდეგო შეწამვლების ჩატარება, რათა გადავარჩინოთ იგი შემდგომი დაავადებებისაგან.

აქვე გამოვხატავთ რა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრს, ალბათ, დადგა დრო, მათ მიერ სანერგეების აღდგენაზე, რაც მეტი გამეჩხერებული ადგილების შევსებას შეუწყობს ხელს.

ტყე ჩვენი სიმდიდრეა და მისი მოვლა-პატრონობა თითოეული ადამიანის წმიდათაწმინდა ვალია. რომლისადმი ზრუნვა თავიდან აგვაცილებს მოსალოდნელ ღვარცოფებს, სტიქიურ უბედურებებს და, რაც მთავარია, იგი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარი გახდება.

## ასპინძის კიბეებს ახალი სიცოცხლე უბრუნდება



ჩვენი გაზეთის მკითხველები ალბათ დამეთანხმებიან, რომ მიმდინარე წელს ბევრი სასიკეთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა რაიონის სინამდვილეში, რაც თვალშისაცემია და საგრძნობლად იცვალა იერსახე როგორც დაბამ, ასევე სოფლებმაც.

ამჯერად ერთ ფრიად საინტერესო პროექტის განხორციელებაზე მინდა მივიქციო მკითხველის ყურადღება.

თითოეული ასპინძელისათვის რამდენიმე გამორჩეული ადგილია, რომლის გარეშეც ასპინძა ვერ წარმოუდგენია, ეს ე.წ. ცენტრის ქვედა – ყოფილი ბაზრის ტერიტორიასთან შემაერთებელი კიბეებია, რომელიც დაბის ღირსშესანიშნავ ობიექტად ითვლება და მისით თითქმის ყველა ასპინძელი სარგებლობს. იგი გასული საუკუნის 40-იან წლების ბოლოს აშენდა და დღემდე ძველი იერსახე შეინარჩუნა, თუმცა, დროთა განმავლობაში, მისთვის რამდენჯერმე ჩატარებული კოსმეტიკური რემონტისა, მაინც დაკარგა თავისი პეწი – ამორტიზირებულია მისი კედლები, დაზიანდა კიბის საფეხურები, მოიშალა განათების სისტემა და დრომ მისი განახლება მოითხოვა.

მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ (მერი როსტომ მაგრაქველიძე), გასულ წელს მისი რეკონსტრუქციის გადაწყვეტიება მიიღო და წელს, დაპირებისამებრ, იდეას ხორცი შეასხა.

ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს მისი სარეკონსტრუქციო სამუშაოები და კარგია, რომ რეკონსტრუქციის დროს მთლიანად იქნა გამოყენებული ძველი კიბეების საფეხურები, რაც ობიექტს შეუნარჩუნებს მის ძველ იერსახის მთავარ ელემენტს.

# ასპინძის ცენტრი იერსახეს იცვლის

– საქართველოს ტურიზმი გადარჩენსო, – ხშირად გავიგონებთ ამ ფრაზას. დღევანდელი გადასახედიდან თუ თვალს გადავავლებთ თანამედროვე მსოფლიოს, თვალყურს გავადევნებთ სატელევიზიო გადაცემებს, ბევრი განვითარებული ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ წყაროს ტურიზმი წარმოადგენს.

ჩვენ, საქართველოში, ყველა პირობა გვაქვს შექმნილი იმისათვის, რომ მიმზიდველი გავხადოთ ჩვენი ქვეყანა, თითოეული რეგიონი და თუნდაც ჩვენი მუნიციპალიტეტი, თავისი ისტორიული ძეგლების სიუხვით, შესანიშნავი ბუნებით და, რაც მთავარია, იმ ტრადიციული გარემოს შექმნით, რომელიც ესოდენ იზიდავს არა მარტო უცხოელს, არამედ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მოზღვავებულ დამთვალიერებელსაც. ეს კარგად ჩანს ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში მათი რაოდენობის ზრდით. უცხოელს ყოველთვის იზიდავს საქართველო თავისი მაღალმთიანი ალპური ზონებით, თოვლით დაფარული მთებით, ზღვით, საკურორტო ადგილებით, საუკეთესო სამზარეულოთი და მდიდარი მატერიალურ-კულტურული ძეგლებით, რომლებიც აგრერიგად მრავლადაა ყველა რეგიონში და სწორედ ეს უნდა იქცეს ჩვენი ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ.

თუმცა, როგორი კარგი პირობებიც არ უნდა შევუქმნათ თითოეულ ტურისტსა თუ დამსვენებელს მივლინების ობიექტზე, მათთვის მაინც აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. ამიტომაცაა, რომ ყველა რეგიონში და, მათ შორის ჩვენთანაც, ამ მიმართებით არ იშურებენ ძალასა და ენერგიას ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები, რათა ტურისტებსა თუ ექსკურსანტებს შესაბამისი გარემო-პირობები შეუქმნან.

ამას ისიც ემატება, რომ ადგილებზე მომრავლდა როგორც საოჯახო, ასევე მაღალი დონის სასტუმროები.

ასპინძა ოდითგან დიდი ტურისტული პოტენციალის მატარებელი ადგილი იყო. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ვარძიაში ფუნქციონირებდა ტურისტული ბაზა, სადაც ყოველდღიურად ღამის თევა 500-მდე ტურისტსა და ექსკურსანტს შეეძლო და ერთდროულად ათასამდე ადამიანს მომსახურებოდა. ამიტომაც არის, რომ დღესაც მიმზიდველი ხდება მათთვის იგი და თანდათანობით დაკარგული პოზიციების აღდგენა ხდება – წინა წლებთან შედარებით მაქსიმალურად იზრდება მათი რიცხვი. ტურისტებისათვის, რომ კიდევ უფრო მიმზიდველი გავხადოთ დაბის ცენტრი, დღის წესრიგში დადგა მისი ცენტრალური ნაწილის კეთილმოწყობა და ამიტომაც მუნიციპალიტეტის მერიამ გადაწყვიტა და ხორცი შეასხა მისი ინფრასტუქტურის განვითარებას და თანამედროვე დონეზე მოწყობას – ე.წ. ასპინძის ობის მემორიალური კომპლექსის მიმდებარედ დაიწყო და სულ მალე სრულიად შეიცვლის იერსახეს იგი, რეკონსტრუქცია უტარდება ყოფილი პავილიონის მთელ ინტერიერს, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ასევე კაპიტალური რემონტი უტარდება როგორც იქვე არსებულ დაბის რწმუნებულის ადმინისტრაციულ, ასევე ენერგოპროვაიდერის ადმინისტრაციული შენობის ფასადსაც და ა.შ.

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს სამშენებლო კომპანიამ სს „XXI საუკუნე", რომელიც მთლიანობაში შეასრულებს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ 207 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოებს.

## რეპლიკა

# რატომ ვაბინძურებთ კულტურისა და დასვენების პარკს?!

ასპინძელებისათვის დიდი ხანია კულტურისა და დასვენების პარკი საუკეთესო თავშეყრის ადგილად იქცა. ზაფხულში აქ აუარებელი ადამიანი – კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, განსაკუთრებით ჩვენი პატარები ისვენებენ და მათ საუკეთესო გართობის პირობებიც აქვთ შექმნილი. თუმცა, იმასაც დავძენთ, რომ პარკში, ხშირად, დაბის გარეუბნებიდან და ახლო სოფლებიდანაც მოდიან და ისვენებენ, საბედნიეროდ, უცხოელებიც თვალშისაცემნი არიან.

ჩვენ არაერთხელ გაგვიმახვილებია მკითხველის ყურადღება იმაზე, რომ ნორმალური დასვენებისათვის საჭირო და აუცილებელია ჯანსაღი გარემო პირობები, რაზეც თითოეული ჩენთაგანი უნდა ფიქრობდეს, თუმცა რა შეიძლება დავარქვათ იმათ საქციელს, რომლებიც არად დაგიდებენ სხვათა ინტერესებს და ისევ თავიანთი, ასე ვიტყოდი, ბინძური საქციელით, აღიზიანებენ გარშემო მყოფებს.

იბადება კითხვა, რა აიძულებთ ასეთ ადამიანებს მსგავსი საქციელისაკენ? – გაუნათლებლობა, უზრდელობა, საკუთარი სიბინძურის გამომზეურება თუ?..

თუმცა არც ჩვენ ვართ, ალბათ იმ დონეზე, სათქმელი მსგავს ადამიანებს პირში ვუთხრათ, საზოგადოების წინაშე შევარცხვინოთ, გავაშავოთ!

ნებისმიერ ცივილურ ქვეყანაში უბრალო სიგარეტის ნამწვავიც რომ გადააგდო ქუჩაში, ღვთის რისხვა არ ასდება მის ჩამდენს.

აბა, დააკვირდი, ძვირფასო მკითხველო, ამ სურათს, – იქ, სადაც ჩვენი თავისუფლებისათვის, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის შეწირულთა მემორიალური დაფაა, ვის უნდა გაებედა და საკუთარი ოჯახის ნაგავი მიეყარა ამ წმინდა ადგილისათვის? რა უნდა დავარქვათ ასეთ საქციელს?..

მსგავსი ფაქტის ჩამდენთა ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს. რა ეთქმით ასეთ ადამიანებს?

გავუფრთხილდეთ ჩვენს დაბას. მხოლოდ სამაგალითო საქციელით თუ შევძლებთ უკეთესი მომავლის აშენებას, კულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

გვერდი მოამზადა
ავთანდილ ბერიძე

# ძველში არქეოლოგიური გათხრები განახლდა

10 აგვისტოს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველში მოინახულეს მიმდინარე არქეოლოგიური კვლევები.

არქეოლოგიური გათხრები 18 ივლისს დაიწყო და მიმდინარეობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით, რომელიც დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

კვლევებში ჩართულნი არიან ავსტრალიელი და ფრანგი მკვლევარები. გათხრებში მონაწილეობდნენ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც. ექსპედიციას ხელმძღვანელობს არქეოლოგი გიორგი ბედიანაშვილი, რომლის აზრით სოფელი ძველი, არქეოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ადგილია.

აქ არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაიწო. შედეგად აღმოჩენილი იქნა სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლარები და სამარხები, რომელიც დღეს ახალციხის მუზეუმის საგამოფენო დარბაზშია წამოდგენილი. 2016 წელს კი ქართულ–ავსტრალიური ექსპედიციის ფარგლებში, მცირე მასშტაბიანი სამუშაოები განახლდა, რომელიც წელს ფართომასშტაბიანი სამუშაოებით გაგრძელდა. ძირითადად, ამ ეტაპზე, აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის თიხის ჭურჭელი, კერამიკისა და ოფსიდიანის ფრაგმენტები, ასევე ხელსაფქვავები. ყველაზე ადრეული ფენები, რომელიც მიეკუთვნება ადრეული ბრინჯაოს ხანას, – ძვ. წელთაღრიცხვით, მესამე ათასწლეულს. ასევე, აღმოჩენილია გვიანდელი ბრინჯაოს ხანის, – დაახლოებით XV-X საუკუნეებისა და განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ექსპონატები.

სამომავლოდ აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია მასშტაბური კვლევები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც არქეოლოგიური თვალსაზრისით, ასევე მხარის ისტორიული წარსულის შესწავლისა და ტურისტული თვალსაზრისითაც.

აღმოჩენილი მასალა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადაეცემა.

# მოსავლის აღება მალე დამთავრდება

ასპინძის მუნიციპალიტეტში მარცვლეული კულტურების აღების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

მოსავლის შეუფერხებლად და უდანაკარგოდ აღებისათვის, მუნიციპალიტეტის მერიის აქტიური ჩარევით, მოსავლის აღების სამუშაოებში მთლიანად ჩართულია შპს ,,მექანიზატორის“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში, ოშორასა და იდუმალში მთლიანადაა დასრულებული მოსავალის აღება,

ეტაპობრივად დაიწყო და მალე დამთავრდება მაღალმთიან სოფლებში მარცვლეულის კულტურების – ძირითადად ხორბლისა და ქერისა აღება.

# ოთასთან დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დამთავრდა

როგორც ვიუწყებოდით, გასულ წელს დაიწყო ოთის მიმართულებით საგზაო ინფრასტუქტურის მოწყობა და ახლახან მთლიანად იქნა რეაბილიტირებული, – ასპინძიდან სოფლის ცენტრამდე დაიგო ბეტონის 3, 6 კილომეტრის სიგრძის გზა, რამაც დიდად შეუწყო ხელი სოფლის მოსახლეობის დაბასთან დაკავშირებას,

აღნიშნული სამუშაოები შეასრულა სამშენებლო კომპანია შპს ,,როუდ სოლუშენმა,'' რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 734 576 ლარი.

# უსაფრთხო მოძრაობა გარანტირებული აქვთ

ახლახან დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან ზონაში მისასვლელი გზების მთის ნაშალისაგან გაწმენდა-შეკეთებისა და მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც გამოწვეულია ხანგრძლივი წვიმების შედეგად და ფაქტიურად შეუძლებელი გახდა უსაფრთხო მოძრაობა.



ამჟამად სამუშაოები ხორციელდება ნიალის ზონაში მისასვლელი გზის ნაწილზე, რომლითაც ძირითადად სარგებლობენ ასპინძის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის მოსახლეობა.

აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ექსკავატორი „JCB“, რომელიც მნიშვნელოვნად დაზოგავს საბიუჯეტო სახსრებს.

რაც შეეხება ასპინძის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების მაღალმთიან, ე.წ. ფერმებსა და სათიბებში მისასვლელ გზებს, იქ, ფაქტიურად, ადრიანად დაიწყო და უკვე დამთავრდა შესაბამისი სამუშაოები და მოსახლეობა გარანტირებულია უსაფრთხო მოძრაობაზე.

# ტარიელ ქამაშიძე გაიხსენეს

8 აგვისტოს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავჯდომარემ მამუკა მელიქიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, სოფელ მირაშხანში, 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს თავისუფლებისათვის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირი ტარიელ ქამაშიძე გაიხსენეს და მისი სახელობის მემორიალი ყვავილებით შეამკეს. მემორიალთან ტარიელ ქამაშიძის დედა და ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ.

10 წლის წინანდელ ომს 400-ზე მეტი სამოქალაქო და სამხედრო პირის სიცოცხლე ემსხვერპლა – საქართველოში რუსული ინტერვენციის შედეგად დაიღუპა 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 14 პოლიციელი, 1 747 კი მძიმედ დაიჭრა. თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, სულ დაღუპულად 170 სამხედრო მიიჩნევა, აქედან ხუთი უგზო-უკვლოდ დაკარგულია.

# ცოტნეობა აღნიშნეს

12 აგვისტოს, ქართველი წმინდანის, ცოტნე დადიანის ხსენების დღესთან დაკავშირებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალაში, კოხტას ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიმართა ტრადიციული ღონისძიება „ცოტნეობა“. ამ დღესთან დაკავშირებით ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურმა მამა ზაქარიამ პარაკლისი გადაიხადა.

პარაკლისის დასრულების შემდეგ, ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრში“ შემავალმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წუნდამ" და ქალთა ანსამბლმა შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები და საგალობელი. ასევე ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები.

აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, საკრებულოს თავჯდომარე მამუკა მელიქიძე და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს წარმომადგენლები.

# გზა ევროპისაკენ

## წერილი მესამე

– დედა, არ წახვიდე, გეხვეწები, არ წახვიდეო, – თვალცრემლიანი ეხვეწებოდა ქუთაისის აერპორტში მგზავრების გრძელ რიგში, ბილეთების რეგისტრაციის დროს, ჩემს წინ მდგომ ხელჩაჭიდებულ დედას ოთხიოდე წლის გოგონა; დედას მცირეწლოვანი ბიჭუნაც ეკავა ხელში და სარეგისტრაციოდ გასაფრენი დარბაზისკენ მეუღლესთან ერთად მიიწევდნენ...

ახალგაზრდა მამაკაცს ხელში პასპორტები და სამგზავრო ბილეთები ეკავა და კარგად მოზრდილ ბარგს, მგზავრებთან, ერთად ნაბიჯნაბიჯ, წინ მიაგორებდა. როცა რეგისტრაციის მათი ჯერი დადგა, ბებიამ, რომელიც მათთან ერთად რიგში იდგა, ძლივს გამოგლიჯა ხელიდან თვალცრემლიან დედას უკვე ხმამაღლა მტირალი გოგონა, რიგიდან გამოიყვანა, თავზე ხელი გადაუსვა, სიყვარულით მოეფერა, ცრემლიანი თვალები მოუწმინდა და სევდიანად უთხრა: – ჩამოდი, ნუ ტირიხარ, ბებო გენაცვალოს, დედიკო და მამიკო მალე დაბრუნდებიან და შენც წაგიყვანენო.

ბილეთების რეგისტრაცია დამთავრდა. მგზავრები და გამცილებლები ზოგი ღიმილით, ზოგი აცრემლებული თვალებით დაემშვოდობნენ, კეთილი მგზავრობა და მშვიდობიანი დარჩენა უსურვეს ერთმანეთს, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე. ასეა ალბათ ყოველი მორიგი რეისის დროს. უჩვეულო არც ამაშია არაფერი, პატარებს ყოველთვის უმძიმთ მშობლებთან, განსაკუთრებით დედებთან განშორება. მაშინაც კი როცა ისინი ერთი ან ორი დღით სახლიდან გადიან. არც ეს ზემოთ თქმული იყო დიდად ყურადსაღები რომ არა ერთი თითოეული ჩვენთაგანისათვის მეტად დამაფიქრებელი და სამწუხარო გარემოება. იმ დღეს ქუთაისი-მიუნხენის რეისზე სულ ცოტა ექვსიოდე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მიფრინავდა ბავშვებთან ერთად საზღვარგარეთ და თვითმფრინავში პატარების ისეთი ჟრიამული იყო, საბავშვო ბაღი გეგონებოდათ. ზოგი ჭირვეულობდა და მშობლები ძლივს აჩერებდნენ, ზოგი იცინოდა, ზოგი სათამაშოებით ერთობოდა და მათ სიახლოვეს მჯდომი მგზავრები ვცდილობდით მათ მიერ ნასროლი სათამაშოები როგორმე აგვერიდებინა. რას იზამ, ასეა ბავშვობა. მათი სიანცე ხომ ყოველთვის დიდ სიამოვნებას გვანიჭებს მშობლებს, ბებია-ბაბუებს.

– ეჰ, რა დღეში ვართ, როდემდე გაგრძელდება ეს? – ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა გვერდით მჯდომმა უცნობმა, შუახანს გადაცილებულმა მამაკაცმა და განაგრძო – შაჰ-აბასმა ცეცხლითა და მახვილით, იძულებით ოთხასიათასი ქართველი აყარა, ძირძველ, მამაპაპურ კერიას და სპარსეთში, შორეულ ფერეიდანში ძალით გადაასახლა, დღეს კი, რა ხდება? მილიონზე მეტმა ქართველმა ნებაყოფლობით მიატოვა მშობლიური, ღვთივკურთხეული მიწა. სამწუხაროა, რომ ეს პროცესი დღემდე ვერ შეჩერდა და აგერ, ბატონო, გადახედე მგზავრების უმრავლესობას, თითო-ოროლა კი არა, ოჯახებით ტოვებენ საქართველოს. ესენი უკან დამბრუნებლები არიან?

ამათ ადგილს კი უცხოტომელები იკავებენ, ისინი, რომელთა წინაპრებიც ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ ჩვენს დაპყრობა-განადგურებას...

სამ საათიანი მგზავრობის დროს ბევრი ვისაუბრეთ, ერთმანეთი გავიცანით. დღევანდელი ცხოვრების თანმდევ პრობლემებზე ჩვენი შეხედულებები თანხვედრში მოდიოდა. თბილისელი აღმოჩნდა, უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი, გერმანიაში შვილი მყავს, ჯანმრთელობის პრობლემები მაწუხებს, ჩვენმა ექიმებმა დიაგნოზი ვერ დამისვეს და სამკურნალოდ მივდივარო.

შეუმჩნევლად გაილია ფრენაში დრო და ასე ზოგი სევდიანად, ზოგი მხიარულად, შუაღამისას ჩავფრინდით მიუნხენში. თვითმფრინავის შასი როგორც კი დასაფრენ ბილიკს შეეხო, ყველანი ფეხზე წამოვდექით, მშვიდობიანი მგზავრობისთვის ერთსულოვნად ტაში შემოვკარით და სამგზავრო ლაინერის მთელ ეკიპაჟს მადლობა გადავუხადეთ. აღსანიშნავია, რომ მგზავრებს შორის თითზე ჩამოსათვლელი ასაკიანი მგზავრები თუ ვიქნებოდით, რომლებსაც ალბათ, რეგლამინტირებული გვქონდა საზღვარგარეთ ჩვენი სტუმრობის დრო. ჩვენი ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე თანამგზავრების უმრავლესობაში კი აშკარად იგრძნობოდა, რომ ძირძველ, „მშობლიურ“ ევროპას, უკვე ხანგრძლივი დროით და, ალბათ, სამუდამოდ უბრუნდებოდნენ. ან რომელი განათლებული, ისტორიის ღრმა მცოდნე ევროპელი დააყვედრის, იქ საცხოვრებლად ჩასულ ქართველს დარჩენას, როცა პირველი ევროპელები, მათი უძველესი წინაპრები აგერ ბოლნისიდან ზეზვა და მზია იყვნენ.

და, მართლაც. აბა სად გარბიხართ ქართველებო, სად მიეშურებით, სად მიიჩქარით? უცხოელებმა თვითონ ზიდონ თავიანთი ღამის ქოთანი, თქვენ კი თქვენი ჯვარი ზიდეთ.

**გიორგი ბერიძე**

---

**კულტურა**

# ლექსად მაქვს გულის სათქმელი

მიმდინარე წლის 14 აგვისტოს ასპინძის სამუსიკო სკოლის დარბაზში ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის ინიციატივით ჩატარდა პოეზიის საღამო – პოეზიის ერთი საათი – „ლექსად მაქვს გულის სათქმელი.“

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა პოეტებმა ანა ბერიძემ, (გივი ნემსაძე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა ღონისძიებაზე და მისი ლექსები წაიკითხეს ქალბატონებმა თინათინ წითლანაძემ, მანანა ზედგინიძემ და ნელი გოგოლაძემ) და მოწვეულმა სტუმარმა ქალაქ ახალციხიდან – როგორც პოეტმა და სახალხო მთქმელმა, ასევე ისტორიკოსმა გიორგი ბერიძემ (ბერჯავახმა).

ღონისძიების წამყვანმა, საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ნელი გოგოლაძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ისინი, ისაუბრა მათ ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ – ანას და გივის კარგად იცნობენ პოეზიის მოყვარულები. ხშირად შევხვედრივართ მათ ღონისძიებებზე აქ, ამ დარბაზში



და მოგვისმენია მათი ლექსები, მიზეზთა გამო ბოლო ორი-სამი წელია აღარ გვქონია შესაძლებლობა თვალი მიგვედევნებინა მათი შემოქმედებისათვის, დღევანდელი ღონისძიების მიზანი კი სწორედ ისაა, რომ გავეცნოთ მათი ბოლოდროინდელი შემოქმედების ახალ ნიმუშებს;

განსაკუთრებით ვრცლად ისაუბრა სტუმრის სტატუსით მოწვეულ გიორგი ბერიძის (ბერ-ჯავახის) შემოქმედებაზე და აღნიშნა რომ ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარს ჩვენი მხარე ჩვენი სამცხე-ჯავახეთი, თავისი ისტორიით, წარსულითა და აწყმოთი, თავისი უმშვენიერესი ბუნებით, ნაყოფიერი ველ- მინდვრებით, კლდეებითა და ქარაფებით. ამიტომ არის, რომ გიორგი ბერიძის ლექსების მოსმენისას საოცარი გრძნობა გეუფლება. შენს წინაშე იშლება სამცხე-ჯავახეთის მთელი ისტორია და ამაყი ხდები, რომ ამ კუთხის შვილი ხარ.

გიორგი მესხურ კილო-კავზე წერს, რაც დღეს იშვიათია და ვთვლით, რომ თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო სიახლეა. სწორედ ამიტომ გახდა გიორგი გამარჯვებული საქართველოს ფოლკლორულ ფესტივალზე.

მისი ლექსები სისტემატიურად იტვირთება ინტერნეტ სივრცეში, იბეჭდება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“ და საზოგადოება ყოველთვის ინტერესით ადევნებს თვალს და დიდი სიყვარულიც დაიმსახურა. უფრო მეტიც, მის ლექსებს ზეპირად სწავლობენ მისი თაყვანისმცემლები. სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი გიორგის ამ ღონისძიებაზე მოწვევისა, რათა მუნიციპალიტეტის პოეზიის მოყვარულებს ახლოს გაეცნოთ იგი.

პოეზიის საღამოზე დიდხანს არ ცხრებოდა ოვაციები, რომელიც თან ახლდა გიორგი ბერიძის მიერ წაკითხულ თითოეულ ლექსსს, განსაკუთრებით შთამბეჭდავი ის იყო, რომ არაერთხელ თხოვეს ახალგაზრდა პოეტს უფრო მეტი ლექსი წაეკითხა.

ღონისძიებას თან სდევდა ვიდეო კადრები ჩვენი კუთხის ისტორიული ძეგლებისა და პეიზაჟებისა.

პოეზიის საღამო დაამშვენა შესაბამისად შერჩეულმა სიმღერებმაც, რომლებიც შეასრულეს ცირა საქიძემ, მზია კოხრეიძემ და ბექა ზედგინიძემ.

ასევე ღონისძიება გაალამაზა ორიგინალური დეკორაციით გაფორმებულმა სცენამ, რისთვისაც ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს კულტურის ცენტრის მხატვარ- დეკორატორს ნელი ბერიძეს და მეთოდისტს მარეხი დათაშვილს, ასევე ღონისძიების ტექნიკური გაფორმებისათვის კულტურის გაერთიანების უფროს ოთარ ცინაძეს.

დასასრულს მთავარი ბიბლითეკის ბიბლიოთეკარმა ნუნუ ბუჩუკურმა, მწერალმა დურმიშხან ბერიძემ და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ ისაუბრეს ახალგაზრდა შემოქმედთა პოეზიაზე, დურმიშხან ბერიძემ ასევე წაიკითხა თავისი ახალი ლექსები. საღამომ გულთბილ გარემოში ჩაიარა. არაერთი შეკითხვა დაუსვეს გიორგი ბერიძეს, რომელმაც ამომწურავი პასუხები გასცა.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ბიბლიოთეკის

მიერ მოწყობილ ღონისძიებებს ყოველთვის ესწრება მუნიციპალიტეტის მერი ბატონი როსტომ მაგრაქველიძე და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს პასუხისმგებელი მუშაკები, რაც დიდი სტიმულს აძლევს კულტურის დარგის მუშაკებს უფრო მეტი საინტერესო ღონისძება ჩაატარონ და ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტში ამ მიმართებით მუშაობის გაუმჯობესებას.

**თეა წითლანაძე**

---

# შეხვედრა მწერალთან

ახლახან, ასპინძის საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყეს ამავე სკოლის კურსდამთავრებულს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, პოეტსა და მწერალს, ჟურნალისტს, ამჟამად უცხოეთში მცხოვრებ დურმიშხან ბერიძეს.

მის შემოქმედებაზე, რომელიც ძირითადად მშობლიურ მესხეთს ეძღვნება, ღრმად და შინაარსიანად ისაუბრა კლასის ხელმძღვანელმა, პედაგოგმა ოლღა ლეკიშვილმა-სლინკომ.

დურმიშხან ბერიძემ, თავის მხრივ, პატარა მკითხველებს გააცნო თავისი ახალი შემოქმედების ნიმუშები, ისაუბრა იმაზე, რომ თითოეული მწერლისთვის რაოდენ მნიშვნელოვანია უცხოეთიდან დანახული მშობლიური საქართველო და როგორი მძიმე და ნოსტალგიურია მისი განცდა სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანისათვის, მით უფრო, ის მხარის მონატრება, სადაც დაიბადე და ბავშვობის წლები გაგიტარებია.

დასასრულს მოსწავლეებმა სამახსოვრო სურათები გადაიღეს მოწვეულ საპატიო სტუმართან და მომავალი შეხვედრების იმედით დასცილდნენ ერთმანეთს.

**ოლღა ლეკიშვილი-სლინკო**

---

# გმადლობთ, საქართველოვ, გულთბილი მასპინძლობისათვის!

მიმდინარე წელს ოჯახით ბათუმთან ახლოს, საკურორტო ქალაქ ქობულეთში ვისვენებდი. ბინა ორასი მეტრის მოშორებით იდგა პლაჟიდან. იქვე, ასიოდე მეტრში, შესანიშნავი სოსნებით დამშვენებული საუცხოო ბულვარი თვალს სტაცებდა დამსვენებლებს, ჩვენთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა იქიდან დანახული შავი ზღვა, აჭარის უმშვენიერესი ბუნება... ეს ყველაფერი ხომ შესანიშნავი გარემოა ადამიანის ნორმალური დასვენებისათვის!

ქობულეთში დასვენების შემდეგ, ერთი კვირით, ასპინძასაც ვესტუმრეთ, სადაც ჩვენი ახლო ნათესავები ცხოვრობენ და უკანასკნელი ათწლეულია მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით თუ გვქონდა მათთან ურთიერთობა.

ასპინძამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველაფერს გამრჯე ადამიანების ხელი ამჩნევია, განსაკუთრებით მოგვეწონა კულტურისა და დასვენების ღამაზად მოწყობილი პარკი, მოასფალტებული ქუჩები, ხალხმრავლობა, მომღიმარი სახეები და, რაც მთავარია, ქართული სტუმართმოყვარეობა, ურთიერთპატივისცემა. დავაგემოვნეთ თქვენებური ხინკალი, მწვადი, ხაჭაპური... რაც მთავარია და ყველაზე შთამბეჭდავი ასპინძასა და, ალბათ, მთელ საქართველოში, გავეცანით აქ თავმოყრილ და განსაცვიფრებელ ისტორიულ ძეგლებს: ვარძიას, ვანის ქვაბებს, თმოგვის ციხეს, წუნდას, ხერთვისს... ჩვენ, სხვადასხვა დროს, ევროპისა და აზიის არაერთ ქვეყანაში ვყოფილვართ, მაგრამ მსგავს სილამაზეს, მრავალფეროვან ბუნებას, ასევე მრავალრიცხოვან ისტორიულ ძეგლებს, მონასტრებს, რომელსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით, არსად არ გვინახავს.

დიდად კმაყოფილი მივდივართ რა ასპინძიდან, გვჯერა, ამ შთაბეჭდილებებს ბევრ ნაცნობ-მეგობარსაც გავუზიარებთ, რათა ინტერესი გაუჩნდეთ, თავად იხილონ სტუმართმოყვარე საქართველო, დიდი წარსულის მქონე მესხეთი!

გმადლობთ, საქართველოვ, გულთბილი მასპინძლობისთვის!

*ვლადიმერ ჩერედნიჩენკო,*
*დონეცკის ოლქი, ქ.მაკეევკა*

---

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია